განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**
**სადოქტორო პროგრამა - თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია, დოქტორანტურა**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

**სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი
18. 08. 2020

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205224700 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ფილოლოგიის დოქტორი (PhD in Philology) |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 180 კრედიტი (იხ. შენიშვნა)[1] |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ 4/4/2018, 52 გადაწყვეტილებით |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხვთისო მამისიმედაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

[1] დაწესებულებამ უნდა შეასწოროს აღნიშნული ჩანაწერი საქართველოს კანონის, უმაღლესი განათლების შესახებ, თავი VII - უმაღლესი განათლების საფეხურები, მუხლი 46, მიხედვით: „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს“.

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა, „თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ 4/4/2018, 52 გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილების მომენტში, აკრედიტაციის საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, განხორციელებულიყო მასზე მონიტორინგი და გადამოწმებულიყო და აკრედიატციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

სადოქტორო პროგრამა „თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია“ განეკუთვნება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამას, რომელიც კურსდამთავრებულებს ანიჭებს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს. სადოქტორო პროგრამაში გაერთიანებულია ორი მიმართულება: თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია. აღნიშნული მიმართულებები არ არის მოდულებად/ქვედარგებად დაყოფილი, თუმცა დოქტორანტის საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, არჩევითი საგნები შემოთავაზებულია როგორც თანამედროვე ქართული ლიტერატურის, ისე ლიტერატურის თეორიის დარგებიდან.

სრული სადოქტორო კურსის მოცულობა შეადგენს 180 კრედიტს. აქედან ⅔ - 120 კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს, ⅓ - 60 კრედიტი კი - სასწავლო კომპონენტს (1 კრედიტი უტოლდება დოქტორანტის როგორც სააუდიტორიო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის 25 საათს). პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 3 წელი (ექვსი სემესტრი), ერთი სემესტრი ითვალისწინებს 18 სასწავლო კვირას.

პროგრამა მომზადებულია სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. მონიტორინგის შემოწმების საფუძველია აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

ცენტრის დირექტორის ბრძანების 534335, 29.06.2020 თანახმად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი (თავმჯდომარე), ხვთისო მამისიმედიშვილი (წევრი).

საექსპერტო ჯგუფი გაეცნო სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მონიტორინგის მიზნით მოწოდებულ დოკუმენტაციას, შეუდარა 2018 წლის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. ასევე, საექსპერტო ჯგუფმა დაწესებულებიდან გამოითხოვა დამატებითი მასალა. კერძოდ, 2018 წლიდან 2020 წლის ივლისამდე დაცული დისერტაციები/აბსტრაქტები; სადისერტაციო ნაშრომების სავარაუდო თემატიკის ჩამონათვალი; 2018 წლის შემდგომ ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა, სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო სათაურისა და ხელმძღვანელების მითითებით; დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტების: პროფესორის ასისტენტობისა და სემინარის მომზადებისა და შესრულების დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აკრედიტაციის ჯგუფმა იხელმძღვანელა ამჟამად მოქმედი რეგულაციებით, რომელიც 2018 წლის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ:

- კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, თავი VII - უმაღლესი განათლების საფეხურები, მუხლი 46 - აკადემიური უმაღლესი განათლებისა და მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების საფეხურები. ცვლილება კანონში უმაღლესი განათლების შესახებ შევიდა 2018 წლის 20 სექტემბერს, ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2018 წლის 5 ოქტომბერს (დოკუმენტის ნომერი 3438-Iს). შესაბამისად, ცვლილება კანონში შევიდა წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის (04. 04. 2018) შემდეგ.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება, დამტკიცებულია საქართველოს

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება #14/ნ;

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (დონე 8 - დოქტორის დამადასტურებელი დიპლომი), რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტტის 2019 წლის 10 აპრილის #69/ნ ბრძანებით;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის ბრძანება №14/ნ;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამული აკრედიტიაციის შეფასების ფორმა და სხვ.

როგორც აღინიშნა, ექსპერტებმა იხელმძღვანელეს ამჟამად მოქმედი რეგულაციებითა და სტანდარტებით, რომლებიც მოდიფიცირებულ იქნა 2018 წლის შემდგომ. შესაბამისად, აკრედიტაციის ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც არ გამოუთქვამს 2018 წელს. ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები მოწოდებულია სადოქტორო პროგრამის დახვეწისა და სრულყოფის მიზნით, რათა იგი აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს და, ასევე, შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

  - პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- რეკომენდაციები

  - კანონში უმაღლესი განათლების შესახებ, თავი VII - უმაღლესი განათლების საფეხურები, მუხლი 46 - აკადემიური უმაღლესი განათლებისა და მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების საფეხურები, აღნიშნულია: „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს". აღნიშნული ცვლილება კანონში უმაღლესი განათლების შესახებ შევიდა 2018 წლის 5 ოქტომბერს, წარმომდგენილი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის (04. 04. 2018) შემდეგ. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა მოვიდეს შესაბამისობაში კანონთან უმაღლესი განათლების შესახებ (კონსოლიდირებულ ვერსიასთან). კერძოდ, კვლევით კომპონენტში არ იყოს განსაზღვრული 120 კრედიტი, ანუ კვლევითი კომპონენტზე მუშაობა დაწესებულებამ აღარ უნდა გაზომოს კრედიტებში.
  - წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები არის ფართო და ზოგადი, ზოგ შემთხვევაში კი, ნაწილობრივ, ჩამოყალიბებულია აბსტრაქტული ფორმულირებით. უახლესი მიდგომების მიხედვით, მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგები იყოს გაზომვადი და პროგრამის სწავლის შედეგების გასაზომად უნივერსიტეტს ჰქონდეს წინასწარ შემუშავებული მექანიზმები.

- მნიშვნელოვანია, სწავლის შედეგებში საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებასთან ერთად ასახული იყოს დოქტორანტების მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო მაღალრეიტინგულ, რეფერირებად გამოცემებში პუბლიკაციების მომზადება; დოქტორანტების მიერ დარგში აღიარებულ ფორუმებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა.
- მნიშვნელოვანია სწავლის შედეგებში აისახოს დოქტორანტის მიერ შესაბამის დარგში სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის დაუფლება. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული სადოქტორო პროგრამის სწავლის მიზნებში აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზანია მეცნიერ-პედაგოგის მომზადება, „რომელსაც ექნება დოქტორის აკადემიური ხარისხი და შესაბამისი კვალიფიკაცია უმაღლესი სკოლის პედაგოგიურ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად" - რაც, ბუნებრივია, შედეგებშიც უნდა აისახოს;
- სწავლის შედეგებში მნიშვნელოვანია აისახოს დოქტორანტის მიერ კვლევის ჩატარება სამეცნიერო ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით, რომელიც შემოწმდება უნივერსიტეტის მიერ როგორც ანტიპლაგიატის პროგრამით, ისე სხვა მექანიზმებით.
- მნიშვნელოვანია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო რეცენზირებადი გამოცემებისა და სასარგებლო ბმულების სარეკომენდაციო სია შედგებოდეს მაღალრეიტინგული სამეცნიერო გამოცემებისგან, მათ შორის, ლიტერატურათმცოდნეობის დარგობრივი გამოცმებისგან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის მიზნებში მითითებულია, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მოიაზრება „XX საუკუნის ქართული ლიტერატურის სიღრმისეული და სისტემური კვლევა, რომელიც ათეული წლების მანძილზე (1921-1991) ცალმხრივად შეისწავლებოდა". ამასთან, პროგრამის მასალების შესწავლისას აშკარად ჩანს, რომ სადოქტორო პროგრამაში კვლევები ეხება არა მხოლოდ მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურას, არამედ ქართული ლიტერატურის პოსტსაბჭოთა პერიოდსაც, კერძოდ, 21-ე საუკუნის ქართულ

ლიტერატურას, ლიტერატურულ პროცესებს, ასევე, ლიტერატურულ ურთიერთობებს. სასურველია, პროგრამის მიზნებში დაზუსტდეს საკვლევი არეალი და არ შემოიფარგლოს მხოლოდ მე-20 საუკუნით. მით უფრო, რომ პროგრამის სახელწოდებაც, თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია მიუთითებს სწორედ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე.

- საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილი მუშაობისთვის სასურველია სადოქტორო პროგრამისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სტუდენტური პროექტების ხარჯვითი ნაწილის გაზრდა.
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველია, პროგრამის გარე შეფასების განხორციელება საზღვარგარეთის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში უცხოელი ექსპერტის მიერ.
- სასურველია დაზუსტდეს და დაიხვეწოს ინტერნაციონალიზაციის პირობები. კერძოდ, სასურველია სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაციად ჩაითვალოს იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში, ან რეფერირებად/რეცენზირებად (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings) და მითითებული იყოს შესაბამისი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები/გამომცემები.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- 2018 წელს აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციაში აღნიშნულია: „დოქტორანტთა ინტერნაციონალიზაციის მიზნით მიღების წინაპირობების დროს სავალდებულო გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებში“. ციტირებული რეკომენდაცია გაზიარებულია დაწესებულების მიერ და წინაპირობებიდან ამოღებულია რუსული ენა.
- საგანმანათლებლო პროგრამას 2018 წლის აკრედიტაციის პერიოდისათვის არ გააჩნდა ელექტრონული წარმოების სისტემა. შესაბამისად, ინსტიტუციას არ ჰქონდა საერთო

მექანიზმი, რომელიც სტუდენტებთან კომუნიკაციას უფრო ფორმალურს და სისტემურს გახდიდა. 2018 წლის 31 იანვრის აკრედიტაციის დროს გაცემულ იქნა რეკომენდაცია - „აუცილებელია უნივერსიტეტს ჰქონდეს სტუდენტთა ელექტრონილი ბაზა და სისტემა, სადაც სტუდენტს ექნება საშუალება თავად მართოს სწავლის პროცესი“ - შესწულებულია, რაც, მიგვაჩნია, რომ სასწავლო პროცესს და სტუდენტებთან კომუნიკაციას უფრო ფორმალურს და სისტემურს გახდის. ასევე, ელექტრონული წარმოების სისტემა სტუდენტს დაუტოვებს არჩევანის თავისუფლებას.

- 2018 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში, რჩევების ნაწილში მითითებულია: „მოხდეს პროგრამის მიზნებში უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობების ასახვა; მოხდეს პროგრამის სტრუქტურასა და მასში გაწერილი სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკის ჩამონათვალში უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობების, მათ შორის, აფხაზური ლიტერატურის კვლევების ასახვა“. მონიტორინგისათვის წარმოდგენილ მასალაში, კერძოდ, სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის ჩამონათვალში ჩანს, რომ გათვალისწინებულია ექსპერტების რჩევა და თემატიკაში ჩამატებულია ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობების, მათ შორის, აფხაზური ლიტერატურის კვლევები შემდეგი ფორმულირებით: „ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობანი/აფხაზეთის თემა ქართულ ლიტერატურაში“.

  2018 წელს აკრედიტაციის ექსპექრტთა დასკვნაში მითითებული იყო რჩევების ნაწილში: „განახლდეს წიგნადი ფონდი დამხმარე ლიტერატურით; სწავლებისა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა შეიძინოს საბიბლიოთეკო სამეცნიერო ელექტრონული ბაზები“. აღნიშნული რჩევები გათვალისწინებულია. 2020 წლის პროგრამის მონიტორინგისათვის დაწესებულებამ, სხვა დოკუმენტებთან ერთად, გამოგზავნა ელექტონული ბაზებისა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განახლებული წიგნადი ფონდის შესახებ მონაცემები.

- 2018 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში, რჩევების ნაწილში, მითითებულია: „დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელობა აკადემიურ პერსონალს შორის თანაბრად გადანაწილდეს“. აღნიშნული რჩევა შესრულებულია. პროგრამის მონიტორინგისათვის ექსპერტებმა გამოითხოვეს დაწესებულებიდან დამატებითი

ინფორმაციები, მათ შორის, 2018 წლის შემდგომ ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა, სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო სათაურებისა და ხელმძღვანელების მითითებით. დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში ჩანს, რომ დოქტორანტებს ჰყავთ სადისერტაციო ნაშრომთან შესაბამისი და სხვადასხვა ხელმძღვანელები.

- 2018 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში, რჩევის სახით მითითებულია: „გარეშეფასების შედგენისას სადოქტორო პროგრამის შეფასებისას ექსპერტების რეკომენდაციები იყოს სავალდებულო კომპონენტი, რათა ექსპერტებმა არა მხოლოდ შეაფასონ პროგრამა, არამედ გაუწიონ კვალიფიციური რეკომენდაციები“ ასევე, 2018 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში, რეკომენდაციის ნაწილში აღნიშნულია სადოქტორო პროგრამის ინტერნაცინალიზაციის ხელშეწყობაც. სადოქტორო პროგრამას მონიტორინგის წინ რაიმე სახის სხვა გარე ხარისხის შეფასება აღარ გაუვლია. ყოველ შემთხვევაში გარე შეფასების სხვა რაიმე ახალი მექანიზმის შესახებ დაწესებულებას ინფორმაცია აღარ მოუწოდებია. პროგრამის მეტი ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველია, პროგრამის გარე შეფასების განხორციელება საზღვარგარეთის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში უცხოელი ექსპერტის მიერ, რაც, ვიმედოვნებთ, გაზრდის პროგრამის მიმართ ინტერესს.
- 2018 წლის აკრედიტაციის დასკვნაში მითითებული იყო რჩევების სახით: სასურველია შემოღებულ იქნას ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობების ამსახველი სავალდებულო და/ან არჩევითი კურსები უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად. პროფესორის ასისტენტობის სავალდებულო 3 კრედიტის გარდა დაემატოს პროფესორის ასისტენტობის არჩევითი კურსები; თავიდან იყოს აცილებული საგნების დუბლირების საკითხი, კერძოდ, საგნები: „მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ტენდენციები თანამედროვე ქართულ მწერლობაში (სავალდებულო) და „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის აქტუალური პრობლემები (არჩევითი)“ მოიცავს ერთსა და იმავე პერიოდს და, შესაბამისად, თემატურად ფარავს ერთმანეთს. აღნიშნული რჩევები არ არის გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.
- 2018 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მითითებულია რჩევის სახით: „ზოგ შემთხვევაში დაზუსტდეს საკვლევი თემატიკის შესაბამისი ტერმინოლოგია“. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონიტორინგისათვის წარმოდგენილი

სადოქტორო პროგრამის საექსპერტო კომისიამ დაწესებულებიდან გამოითხოვა 2018 წლის აკრედიტაცისი შემდგომ პროგრამაზე დაცული დისერტაციები. დისერტაციების გაცნობა-ანალიზის შედეგად, გაიცა დამატებითი რეკომენდაციები: მიზანშეწონილია, დისერტაციებში გათვალისწინებული იყოს სამეცნიერო-აკადემიური სტილი, თავიდან იყოს აცილებული საკვალიფიკაციო სამეცნიერო ნაშრომებში პუბლიცისტურ-მხატვრული სტილი. ასევე, ყურადღება მიექცეს დისერტაციებში სამეცნიერო ნაშრომების სათანადო აკადემიური წესით დამოწმებას.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაფუძნებულია საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 ივლისის დადგენილებით - 1989 წლის 14 მაისს შექმნილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ბაზაზე, აფხაზეთის ა/რ პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - 1932 წელს დაარსებული სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (1979 წლიდან - სოხუმის /აფხაზეთის/ სახელმწიფო უნივერსიტეტის) უშუალო სამართალმემკვიდრეა. ის არის მრავალსაუკუნოვანი ზოგადქართული საგანმანათლებლო ტრადიციების მატარებელი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ეფუძნება ქართველი და აფხაზი ხალხების სულიერ და ინტელექტუალურ ფასეულობებს. უნივერსიტეტის მისია ორიენტირებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობის ფარგლებში ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიულ და თანამედროვე ასპექტებზე. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულია ბოლონიის პროცესის, საქართველოს კანონმდებლობისა და მისი წესდების შესაბამისად განახორციელოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა. უნივერსიტეტის მიზანია განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბმისი საუნივერსიტეტო განათლების მქონე სხვადასხვა აკადემიური დონის კურსდამთავრებულების მომზადება, რომელთაც ექნებათ მაღალზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის. ასევე, უნივერსიტეტის მისია გათვლილია საქართველოს |

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე და მის შემდეგ, აფხაზეთის ა/რ ეფექტურ ჩართვაზე ქართულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეში.

- პროგრამის მიზანია აკადემიური ლიდერის, ახალი თაობის მკვლევარ-ანალიტიკოსისა და მეცნიერ-პედაგოგის მომზადება, რომელსაც ექნება დოქტორის აკადემიური ხარისხი და შესაბამისი კვალიფიკაცია უმაღლესი სკოლის პედაგოგიურ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც შეძლებს თავისი კვლევებით ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი გამოცდილების ჩართვას საერთაშორისო ფილოლოგიურ დიალოგში; ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის მიმართულებით შესრულებულ კვლევათა ინტეგრაციას საერთაშორისო აკადემიურ წრეებში.
- 2018 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში, რჩევების ნაწილში მითითებულია:
- „მოხდეს პროგრამის მიზნებში უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობების ასახვა;
- მოხდეს პროგრამის სტრუქტურასა და მასში გაწერილი სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკის ჩამონათვალში უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობების, მათ შორის, აფხაზური ლიტერატურის კვლევების ასახვა“.
- მონიტორინგისათვის წარმოდგენილ მასალაში, კერძოდ, სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის ჩამონათვალში ჩანს, რომ გათვალისწინებულია ექსპერტების რჩევა და თემატიკაში ჩამატებულია ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობების, მათ შორის, აფხაზური ლიტერატურის კვლევები შემდეგი ფორმულირებით: „ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობანი/აფხაზეთის თემა ქართულ ლიტერატურაში“.
- სადოქტორო პროგრამის მიზანს წარმოადგენს აკადემიური ლიდერის, ახალი თაობის მკვლევარ-ანალიტიკოსისა და მეცნიერ-პედაგოგის მომზადება, რომელსაც ექნება დოქტორის აკადემიური ხარისხი და შესაბამისი კვალიფიკაცია უმაღლესი სკოლის პედაგოგიურ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად; რომელიც შეძლებს თავისი კვლევებით ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი გამოცდილების ჩართვას საერთაშორისო ფილოლოგიურ დიალოგში; ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის მიმართულებით შესრულებულ კვლევათა ინტეგრაციას საერთაშორისო აკადემიურ წრეებში.

| |
|---|
| ○ სადოქტორო პროგრამა შედგება ორი კომპონენტისგან, ესენია: თანამედროვე ქართული ლიტერატურის კვლევა და ლიტერატურის თეორიის კვლევა.<br>○ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის მიზნებში მითითებულია, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მოიაზრება „XX საუკუნის ქართული ლიტერატურის სიღრმისეული და სისტემური კვლევა, რომელიც ათეული წლების მანძილზე (1921-1991) ცალმხრივად შეისწავლებოდა“. ამასთან, პროგრამის მასალების შესწავლისას აშკარად ჩანს, რომ სადოქტორო პროგრამაში კვლევები ეხება არა მხოლოდ მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურას, არამედ ქართული ლიტერატურის პოსტსაბჭოთა პერიოდსაც, კერძოდ, 21-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურას, ლიტერატურულ პროცესებს, ასევე, ლიტერატურულ ურთიერთობებს. სასურველია, პროგრამის მიზნებში დაზუსტდეს საკვლევი არეალი და არ შემოიფარგლოს მხოლოდ მე-20 საუკუნით. მით უფრო, რომ პროგრამის სახელწოდებაც, თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია მიუთითებს სწორედ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია<br>○ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო პროგრამა;<br>○ პროგრამის სილაბუსები<br>○ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ოამი #16 (04. 04. 2018) |
| **რეკომენდაციები:**<br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის მიზნებში მითითებულია, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მოიაზრება „XX საუკუნის ქართული ლიტერატურის სიღრმისეული და სისტემური კვლევა, რომელიც ათეული წლების მანძილზე (1921-1991) ცალმხრივად შეისწავლებოდა“. ამასთან, პროგრამის მასალების შესწავლისას აშკარად ჩანს, რომ სადოქტორო პროგრამაში კვლევები ეხება არა მხოლოდ მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურას, არამედ ქართული ლიტერატურის პოსტსაბჭოთა პერიოდსაც, კერძოდ, 21-ე საუკუნის ქართულ |

ლიტერატურას, ლიტერატურულ პროცესებს, ასევე, ლიტერატურულ ურთიერთობებს. სასურველია, პროგრამის მიზნებში დაზუსტდეს საკვლევი არეალი და არ შემოიფარგლოს მხოლოდ მე-20 საუკუნით. მით უფრო, რომ პროგრამის სახელწოდებაც, თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია მიუთითებს სწორედ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე.

○

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის - თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია - სწავლის შედეგებში განსაზღვრულია შემდეგი: სადოქტორო პროგრამის დასრულების

შედეგად სტუდენტი წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ამასთან ერთად, დოქტორანტურის სასწავლო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს უყალიბდება თანამედროვე მკვლევარ-ფილოლოგისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები: ცოდნა და გაცნობიერება – სიღრმისეულად ფლობს დარგში შემუშავებულ თეორიულ და კვლევით მეთოდებს; იცის ლიტერატურის თეორიისა და თანამედროვე ქართული ლიტერატურის ძირითადი კანონზომიერებები; აქვს მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა მის მიერ არჩეულ ქვედარგში, რაც შესაძლებლობას აძლევს მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეული ნაწილი; აცნობიერებს ლიტერატურის თეორიისა და ქართული ლიტერატურის ადგილს ჰუმანიტარული მეცნიერებების რიგში. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებით; შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი და პუბლიკაციები; შეძენილი ცოდნა და კომპეტენციები წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში, სამეცნიერო დაწესებულებასა თუ უნივერსიტეტში მუშაობისას; შეუძლია გააანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს როგორც თავისი, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები; შეუძლია ქართულ ლიტერატურასა და ლიტერატურის თეორიაში მიღებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგების პროფესიული კომენტირება და განზოგადება; შეუძლია სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების/პროექტების შედგენა და სხვ. დასკვნის უნარი – შეუძლია კვლევის არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული და შემოქმედებითი ანალიზი, სათანადოდ შეფასება და ამ შეფასების დასაბუთება; რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება; სწორი, სტრატეგიული და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება; შეუძლია დაინახოს მთელის ნაწილები, მათი ურთიერთკავშირი და ერთიანობა; კომუნიკაციის უნარი – შუძლია წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია ქართულ და უცხოურ ენებზე; აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვის დასმის და ამომწურავი პასუხის გაცემის უნარი; შეუძლია სამეცნიერო დიალოგის წარმართვა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა ქართულ და უცხოურ ენებზე; შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა; შეუძლია ოპონენტის არგუმენტირებული პოზიციის მიღება; პროფესიული ამოცანების გადაჭრის მიზნით შეუძლია საკომუნიკაციო სტრატეგიების ადეკვატურად გამოყენება. სწავლის უნარი – აქვს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც მას ხელს უწყობს შეისწავლოს და შეიმეცნოს ახალი იდეები, მზად იყოს ახალი ცოდნის არა მარტო შესაქმნელად, არამედ სხვის მიერ შექმნილი ახალი ცოდნის მისაღებადაც. შეუძლია წარმატებით აითვისოს კვლევის უახლეს მეთოდები; შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და მართოს სწავლის პროცესი; აქვს კრეატიული აზროვნება და შეუძლია ახალი იდეების გენერირება; აცნობიერებს უწყვეტი განათლების მნიშვნელობას, შეუძლია ახალ ვითარებასთან ადაპტირება. ღირებულებები – პროფესიული ღირებულებების დაცვა; აქვს ტოლერანტობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა კოლეგებთან ურთიერთობისას; მოქმედებს სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით; შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო ობიექტები; პატივს სცემს კულტურათა მრავალფეროვნებას და განსხვავებულ აზრს; ამკვიდრებს აკადემიური ეთიკის ფასეულობებს, შეუძლია არა მარტო ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიება, არამედ მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავებაც.

- წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები არის ფართო და ზოგადი, ზოგ შემთხვევაში კი, ნაწილობრივ, ჩამოყალიბებულია აბსტრაქტული ფორმულირებით. მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგები იყოს გაზომვადი და პროგრამის სწავლის შედეგების გასაზომად უნივერსიტეტს ჰქონდეს წინასწარ შემუშავებული მექანიზმები. კერძოდ, მნიშვნელოვანია, სწავლის შედეგებში საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებასთან ერთად ასახული იყოს დოქტორანტების მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო მაღალრეიტინგულ, რეფერირებად გამოცემებში პუბლიკაციების მომზადება; დოქტორანტების მიერ დარგში აღიარებულ ფორუმებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა; აგრეთვე, მნიშვნელოვანია სწავლის შედეგებში აისახოს დოქტორანტის მიერ შესაბამის დარგში სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის დაუფლება. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული სადოქტორო პროგრამის სწავლის მიზნებში აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზანია მეცნიერ-პედაგოგის მომზადება, „რომელსაც ექნება დოქტორის აკადემიური ხარისხი და შესაბამისი კვალიფიკაცია უმაღლესი სკოლის პედაგოგიურ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად" - რაც, ბუნებრივია, შედეგებშიც უნდა აისახოს; აგრეთვე, სწავლის შედეგებში მნიშვნელოვანია აისახოს დოქტორანტის მიერ კვლევის ჩატარება სამეცნიერო ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით, რომელიც შემოწმდება უნივერსიტეტის მიერ როგორც ანტიპლაგიატის პროგრამით, ისე სხვა მექანიზმებით და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ოქმი #16 (04. 04. 2018)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები არის ფართო და ზოგადი, ზოგ შემთხვევაში კი, ნაწილობრივ, ჩამოყალიბებულია აბსტრაქტული ფორმულირებით. მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგები იყოს გაზომვადი და პროგრამის სწავლის შედეგების გასაზომად უნივერსიტეტს ჰქონდეს წინასწარ შემუშავებული მექანიზმები.
- მნიშვნელოვანია, სწავლის შედეგებში საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებასთან ერთად ასახული იყოს დოქტორანტების მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო მაღალრეიტინგულ, რეფერირებად გამოცემებში პუბლიკაციების მომზადება; დოქტორანტების მიერ დარგში აღიარებულ ფორუმებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა.
- მნიშვნელოვანია სწავლის შედეგებში აისახოს დოქტორანტის მიერ შესაბამის დარგში სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის დაუფლება. მით უფრო,

| |
|---|
| თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული სადოქტორო პროგრამის სწავლის მიზნებში აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზანია მეცნიერ-პედაგოგის მომზადება, „რომელსაც ექნება დოქტორის აკადემიური ხარისხი და შესაბამისი კვალიფიკაცია უმაღლესი სკოლის პედაგოგიურ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად" - რაც, ბუნებრივია, შედეგებშიც უნდა აისახოს;<br>○ სწავლის შედეგებში მნიშვნელოვანია აისახოს დოქტორანტის მიერ კვლევის ჩატარება სამეცნიერო ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით, რომელიც შემოწმდება უნივერსიტეტის მიერ როგორც ანტიპლაგიატის პროგრამით, ისე სხვა მექანიზმებით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამაზე მიღების შემდეგი წინაპირობები: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფილოლოგიის რომელიმე დარგში/ქვედარგში/განათლების მეცნიერებებში' უცხო ენის B2 დონეზე ფლობა. 2018 წელს აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციაში აღნიშნულია: „დოქტორანტთა ინტერნაციონალიზაციის მიზნით მიღების წინაპირობების დროს სავალდებულო გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებში“. ციტირებული რეკომენდაცია გაზიარებულია დაწესებულების მიერ და წინაპირობებიდან ამოღებულია რუსული ენა.<br>○ მიღების წინაპირობებს შორის არის აგრეთვე თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის პრობლემატიკის ცოდნა (გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან); სამოტივაციო წერილის წარმოდგენა, სადაც დოქტორანტების სამეცნიერო ინტერესები წარმოჩნდება, ასევე, სავარაუდო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციები. |

| |
|---|
| ○ აღნიშნული წინაპირობები შეესაბამება განათლების მესამე საფეხურზე სწავლის გაგრძელების სტანდარტს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია<br>○ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო პროგრამა;<br>○ პროგრამის სილაბუსები<br>○ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ოქმი #16 (04. 04. 2018) |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, |

| |
|---|
| შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება განათლების მესამე საფეხურის შესაბამისი კომპეტენციების კურსებისაგან. კერძოდ, პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტს.<br>○ სასწავლო კომპონენტი, 60 კრედიტი შედგება შემდეგი კურსებისაგან: 21 კრედიტი სავალდებულო კურსები: სწავლების თანამედროვე მეთოდები - 6 კრედიტი; აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით) – 6 კრედიტი; პროფესორის ასისტენტობა - 3 კრედიტი; სემინარი - 6 კრედიტი. სავალდებულო დარგობრივი სასწავლო კურსები შედგება 18 კრედიტისაგან: მხატვრული დისკურსის თეორია და თეორიული პოეტიკის აქტუალური პრობლემები - 6 კრედიტი; მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ტენდენციები თანამედროვე ქართულ მწერლობაში - 6 კრედიტი; ლიტერატურული კომპარატივისტიკა - 6 კრედიტი. არჩევითი დარგობრივი კურსები შეადგენს 21 კრედიტს: XX საუკუნის ქართული ლიტერატურის აქტუაური პრობლემები - 6 კრედიტი; ნარატივის პრობლემა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესები - 6 კრედიტი; ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგია (პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურის მაგალითზე) – 6 კრედიტი; ქართული ლიტერატურის პარადიგმები ევროპული ლიტერატურის კონტექსტში - 6 კრედიტი; ინტერკულტურალობის პრობლემა შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში - 3 კრედიტი; მხატვრული პირობითობა ნარატიულ ტექსტში - 3 კრედიტი.<br>○ სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში მითითებულია 120 კრედიტი, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. |

- კანონში უმაღლესი განათლების შესახებ, თავი VII - უმაღლესი განათლების საფეხურები, მუხლი 46 - აკადემიური უმაღლესი განათლებისა და მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების საფეხურები, აღნიშნულია: „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს". აღნიშნული ცვლილება კანონში უმაღლესი განათლების შესახებ შევიდა 2018 წლის 5 ოქტომბერს, წარმომდგენილი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის (04. 04. 2018) შემდეგ. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა მოვიდეს შესაბამისობაში კანონთან უმაღლესი განათლების შესახებ (კონსოლიდირებულ ვერსიასთან). კერძოდ, კვლევით კომპონენტში არ იყოს განსაზღვრული 120 კრედიტი, ანუ კვლევითი კომპონენტზე მუშაობა დაწესებულებამ აღარ უნდა გაზომოს კრედიტებში.
- საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს 3 სასწავლო წელს. დამატებით, დაწესებულებამ, შიდა რეგულაციით შესაძლებელია დაადგინოს დამატებითი სემესტრების/წლების განსაზღვრის შესაძლებლობა სტუდენტის მიერ სწავლის/კვლევის დასრულებისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
- სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ოქმი #16 (04. 04. 2018)

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- კანონში უმაღლესი განათლების შესახებ, თავი VII - უმაღლესი განათლების საფეხურები, მუხლი 46 - აკადემიური უმაღლესი განათლებისა და მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების საფეხურები, აღნიშნულია: „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს". აღნიშნული ცვლილება კანონში უმაღლესი განათლების შესახებ შევიდა

| |
|---|
| 2018 წლის 5 ოქტომბერს, წარმომდგენილი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის (04. 04. 2018) შემდეგ. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა მოვიდეს შესაბამისობაში კანონთან უმაღლესი განათლების შესახებ (კონსოლიდირებულ ვერსიასთან). კერძოდ, კვლევით კომპონენტში არ იყოს განსაზღვრული 120 კრედიტი, ანუ კვლევითი კომპონენტზე მუშაობა დაწესებულებამ აღარ უნდა გაზომოს კრედიტებში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნიევრსიტეტის თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები შედგება ჰუმანიტარული მეცნიერებების, მათ შორის, ფილოლოგიის შესაბამისი ქვედარგის: თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის მნიშვნელოვანი საკითხები და თემები.
- სავალდებულო სასწავლო კურსები: სწავლების თანამედროვე მეთოდები - 6 კრედიტი; აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით) – 6 კრედიტი; პროფესორის ასისტენტობა - 3 კრედიტი; სემინარი - 6 კრედიტი მოიცავს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურისათვის მიზანშეწონილ საგნებს.
- სავალდებულო დარგობრივი სასწავლო კურსები შედგება 18 კრედიტისაგან: მხატვრული დისკურსის თეორია და თეორიული პოეტიკის აქტუალური პრობლემები - 6 კრედიტი; მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ტენდენციები თანამედროვე ქართულ მწერლობაში - 6 კრედიტი; ლიტერატურული კომპარატივისტიკა - 6 კრედიტი. აღნიშნული დარგობრივი კურსები ემსახურება ფილოლოგიის შესაბამისი ქვედარგის კომპეტენციების გაღრმავებას დოქტორანტურის საფეხურზე. 2018 წლის აკრედიტაციის დასკვნაში მითითებული იყო, რომ კურსების ნაწილი ფარავდა ერთმანეთს, კერძოდ, რჩევებში აღნიშნული იყო: „თავიდან იყოს აცილებული საგნების დუბლირების საკითხი, კერძოდ, საგნები: „მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ტენდენციები თანამედროვე ქართულ მწერლობაში (სავალდებულო) და „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის აქტუალური პრობლემები (არჩევითი)“ მოიცავს ერთსა და იმავე პერიოდს და, შესაბამისად, თემატურად ფარავს ერთმანეთს“. ამ მიმართულებით პროგრამაში ცვლილება არ შეინიშნება, ორივე კურსი, სავალდებულოც და არჩევითიც, ეხება ერთ ლიტერატურულ ეპოქას, შესაბამისად, მეორდება სალექციო საკითხები და თემები, ზოგ შემთხვევაში, სავალდებულო ლიტერატურაც.
- არჩევითი დარგობრივი კურსები შეადგენს 21 კრედიტს: XX საუკუნის ქართული ლიტერატურის აქტუაური პრობლემები - 6 კრედიტი; ნარატივის პრობლემა და

| |
|---|
| თანამედროვე ლიტერატურული პროცესები - 6 კრედიტი; ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგია (პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურის მაგალითზე) – 6 კრედიტი; ქართული ლიტერატურის პარადიგმები ევროპული ლიტერატურის კონტექსტში - 6 კრედიტი; ინტერკულტურალობის პრობლემა შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში - 3 კრედიტი; მხატვრული პირობითობა ნარატიულ ტექსტში - 3 კრედიტი.<br>● 2018 წლის აკრედიტაციის დასკვნაში მითითებული იყო რჩევების სახით:<br>● სასურველია შემოღებულ იქნას ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობების ამსახველი სავალდებულო და/ან არჩევითი კურსები უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად. პროფესორის ასისტენტობის სავალდებულო 3 კრედიტის გარდა დაემატოს პროფესორის ასისტენტობის არჩევითი კურსები;<br>● თავიდან იყოს აცილებული საგნების დუბლირების საკითხი, კერძოდ, საგნები: „მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ტენდენციები თანამედროვე ქართულ მწერლობაში (სავალდებულო) და „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის აქტუალური პრობლემები (არჩევითი)“ მოიცავს ერთსა და იმავე პერიოდს და, შესაბამისად, თემატურად ფარავს ერთმანეთს.<br>▪ აღნიშნული რჩევები არ არის გათვალისწინებული დაწესებულების მიერ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია<br>○ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო პროგრამა;<br>○ პროგრამის სილაბუსები<br>○ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ოამი #16 (04. 04. 2018) |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

| |
|---|
| ○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
